განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საზღვაო ნავიგაცია უსდ-ს სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი:2019 წლის 25

სექტემბერი,

ანგარიშის წარდგენის თარიღი:

თბილისი,
2019 წელი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის | სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია |
| უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი | 245427337 |
| დაწესებულების ტიპი | სასწავლო უნივერსიტეტი |

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საინფორმაციო პროფილი

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საზღვაო ნავიგაცია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი 1041 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ინჟინერიის პროფესორი, დოქტორიზაპე ა. მიდემა, დელფტის უნივერსიტეტი, |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ზაზა მახარაძე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | შოთა ბარამიძე, ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ქრისტინა რზგოევა, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნიკა თიკანაშვილი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, |

## აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

3 BEng პროგრამა განალიზდა:

1. საზღვაო ინჟინერია
2. ელექტროინჟინერია
3. საზღვაო ნავიგაცია

საზღვაო ინჟინერიის BEng პროგრამა ამზადებს სტუდენტებს, რათა გახდნენ საზღვაო კომპანიების პროფესიონალი კადეტები, საბოლოოდ კაპიტნად გახდომის პერსპექტივით.

- აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე

მიმოხილვა კომიტეტმა შემდეგი

შემადგენლობით:
პროფ. საფე ანდრიეს მიედემა
პროფ. შოთა ბარამიძე,
კაპიტანი ზაზა მახარაძე, ქ-
ნი ქრისტინა რზგოევა, ბ-
ნი ნიკა თიკანაშვილი

2019 წლის 24 სექტემბერს ჩაატარა ინტერვიუები:
უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
თვითშეფასების ჯგუფთან
აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
კურსდამთავრებულთა დამსაქმებლებთან
სწავლების ხელმძღვანელთან

გარდა ამისა, ვიზიტი განხორციელდა სხვადასხვა ობიექტზე

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე

ვინაიდან ეს პროგრამა უნდა შეესატყვისებოდეს საერთაშორისო გადაზიდვების რეგულაციებს, სტანდარტებს და წესებს, ამაში წარმატებულობა ნიშნავს სწავლის მიზნების მიღწევას.

- რეკომენდაციების რეზიუმე

არ ეხება

- რჩევების რეზიუმე

რჩევების უმეტესობა ძალაშია სამივე პროგრამისათვის.

ვინაიდან გემის ბორტზე 3-ვე პროგრამის კადეტებმა უნდა ითანამშრომლონ, მიზანშეწონილია მულტიდისციპლინური პროექტი, რათა სტუდენტებს შეეძლოთ ისწავლონ თანამშრომლობა და კომუნიკაცია (რა თქმა უნდა, სამივე პროგრამისათვის).

ინჟინერიის კონტროლი წარმოადგენს ავტომატიზაციის საფუძველს. მიზანშეწონილია

გარკვეული ფუნდამენტური ინჟინერიის კონტროლის სწავლება სამივე პროგრამისათვის, შესაძლოა არა ერთგვარი, მაგრამ პროგრამისათვის გამოსადეგი.

მიზანშეწონილია მეტად სტრუქტურული კავშირები ინდუსტრიასთან.

ლიდერობას/ეთიკას დათმობილი აქვს ძალიან ზევრი კრედიტი, მიზანშეწონილია, მეტი ტექნიკური თემის შერჩევა.

საკონსულტაციო საათები არსებობს ქაღალდზე, თუმცა მიზანშეწონილია, რომ ეს უფრო თვალსაჩინო გახდეს სტუდენტებისთვის.

მიზანშეწონილია პედაგოგების დაჯილდოება ინდივიდუალურად, თუ ისინი კარგად მუშაობენ, მაგალითად, მიეცეთ მათ საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის ან პერსონალური განვითარების კურსის გავლის საშუალება.

ასევე, სტუდენტების სტიმულირება კონფერენციებში მონაწილეობისათვის და მათთვის საერთაშორისო გადაზიდვების სამყაროს გაცნობის შესაძლებლობის მიცემა.ასევე, ყურადღების მიქცევა გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებზე.

მიზანშეწონილია სტუდენტთა მეტად ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

მიზანშეწონილია ვებ-გვერდის შექმნა კურსდამთავრებულებთან კითხვა-პასუხისა და ხარისხის კონტროლისთვის, ვინაიდან მათდამი ხშირია შეკითხვები გადაზიდვებში სიახლეებთან დაკავშირებით.

რადგან 3-ვე პროგრამა ეკუთვნის ერთ დაწესებულებას/აკადემიას, ხარისხის კონტროლის მსგავსი სტანდარტების რაოდენობა, იდენტური იქნება სამივე პროგრამაში.მიზანშეწონილია შემდეგში მოხდეს მათი ერთობლივი აკრედიტაცია.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ნიდერლანდებში, ჯგუფის თავმჯდომარის აკრედიტაციის გამოცდილების გათვალისწინებით, ხარისხის კონტროლის სისტემა ბათუმში უკვე ძალიან კარგ დონეზეა.მაგრამ უნდა იყოთ ფრთხილად, ეს ეხება შინაარსს და არა მხოლოდ ციფრებს (ცხრილების მენეჯმენტი).

- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ობიექტები თანამედროვე და შთამბეჭდავია, განსაკუთრებით სხვადასხვა ტრენაჟორები.ასეთი კარგი საერთაშორისო საშუალებების არსებობა ითვლება ძალიან კარგ მიღწევად.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან.პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება რეგულარულად.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში.ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამას "საზღვაო ნავიგაცია" მთლიანობაში დასახული აქვს 8 მიზანი.

პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი განსაზღვრავენ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას, რომლებიც სტუდენტებმა უნდა შეიძინონ პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამა მიზნად ისახავს გემების ნავიგატორების მომზადებას, ოპერატიულ და მენეჯმენტის დონეზე ეროვნული სტანდარტებისა (ეროვნული ჩარჩო დოკუმენტი "საზღვაო ნავიგაცია") და საერთაშორისო სტანდარტების (STCW კონვენციის A-III/1, A-III/2, A-III/3) შესაბამისად, კვალიფიკაციით - "საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი“.

პროგრამის მიზნები კურსდამთავრებულებს აძლევს კარიერული ზრდისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის შემდგომ დონეზე გაგრძელების საშუალებას.

პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ წვლილს, რომელიც კურსდამთავრებულებმა უნდა შეიტანონ საზღვაო სფეროში. პროგრამის მიზნები შეესაბამება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს.

პროგრამა ასევე მიზნად ისახავს გამოცდილი ლიდერების მომზადებას, რომელთა კომპეტენციაც შესაბამისობაში იქნება საზღვაო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კურსდამთავრებულებს ექნებათ პროფესიული პრობლემების აღმოჩენისა და გადაწყვეტის უნარები, თვითრეალიზაციის პოტენციალი და კომუნიკაციის უნარები, რაც განსაზღვრავს მათ კონკურენტუნარიანობასა და კარიერულ წარმატებას ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.

პროგრამის მიზნები საჯაროა და მათი ხილვა შესაძლებელია ბსსა-ს ვებ–გვერდზე.

ინფორმაცია პროგრამისა და მისი მიზნების შესახებ შეგროვდა თვითშეფასების ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტებიდან. ადგილზე განხორციელებული ვიზიტის დროს გამოიკითხა შესაბამისი პერსონალი. დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>1. საგანმანათლებლო პროგრამა - საზღვაო ნავიგაცია<br>2. სილაბუსები<br>3. ბსსა-ს ვებ-საიტი:http://bsma.edu.ge/<br>4. ბსსა-ს მისია:http://www.bsma.edu.ge/main/page/2-5/index.html<br>5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი<br>6. დასაქმების ბაზრისა და დამსაქმებლების სტატისტიკური ანალიზი<br>7. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი<br>8. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024 წწhttp://www.bsma.edu.ge/main/page/2-7/index.html<br>9. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა:http://bsma.edu.ge/upload/ND%202-Q01-01.pdf<br>10. საზღვაო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი საგანმანათლებლო პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის დანიშვნის თაობაზე:ოქმი N 14, 15.10.2018 წ.<br>11. საზღვაო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის დანიშვნის თაობაზე:ოქმი N 6/9, 03.04.2019 წ.<br>12. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია:http://bsma.edu.ge/upload/ND%202-Q01-02.pdf |
| **რეკომენდაციები:არ არის** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:არ არის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):არ არის** |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| 1.2.პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანამანათლებლო პროგრამის შედეგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა (საგანმანათლებლო კურსები, სწავლების მეთოდები, ცოდნის შეფასების სისტემა და ა.შ.) საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს მიიღონ საბაკალავრო საფეხურისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარები, როგორც ეს განსაზღვრულია პროგრამის მიზნებში.

სწავლის შედეგები ემყარება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ასევე STCW კონვენციის მოთხოვნებს.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა სახეზეა და ადასტურებს სწავლის შედეგების მიზანშეწონილობას. პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგს:

- მისაღწევი მიზნები (1–დან 8–მდე)
- სწავლის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება/ უნარები / პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა)

პროგრამა, ისევე როგორც მისი სწავლის შედეგები შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ეკიპაჟის ოფისის წარმომადგენელი. სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ინდუსტრიის მოთხოვნები, დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის საჭიროებები.

პროგრამა შეიცავს სწავლის შედეგების ეფექტური შეფასების მექანიზმს და შესაბამისობაშია ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შეფასება ხდება დროის წინასწარ დადგენილ მონაკვეთებში (5 კვირის პერიოდი). სისტემა საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ როგორ მიიღწევა სწავლის შედეგები სხვადასხვა ეტაპზე.სისტემა გამჭვირვალეა და მისი გაზომვა შესაძლებელია. ის მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. სტუდენტებს აქვთ წვდომა მათი ცოდნის შეფასების შედეგებზე.

კონსოლიდირებული გზით, სტუდენტების აკადემიური მიღწევების შესაფასებლად, ბათუმის საზღვაო აკადემიაში მოქმედებს ე.წ. GPA (ქულების საშუალო მაჩვენებელი), რაც წარმოადგენს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ერთ – ერთ ელემენტს. GPA– ს გაანგარიშებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა შეფასება, რომელიც სტუდენტმა მიიღო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სწავლის შესაბამის დონეზე. კურსდამთავრებულის GPA მითითებული იქნება დიპლომის დანართში.

ბსსა უზრუნველყოფს ელექტრონული ჟურნალის სისტემას, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ იპოვონ შესაბამისი ინფორმაცია სასწავლო პროცესებზე, მათ შორის სასწავლო კომპონენტებსა და ცოდნის შეფასების შედეგებზე. სისტემა დაცულია და ყველა მომხმარებელს შეუძლია შევიდეს საკუთარ ანგარიშზე/გვერდზე პირადი მონაცემების გამოყენებით. ის საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები.

საზღვაო ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ანალიზებს შეფასების შედეგებს და ამზადებს შესაბამის ანგარიშს. ანალიზის შედეგების გამოყენება შესაძლებელია აკადემიური პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, საჭიროების მიხედვით.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>1. საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“;<br>2. სილაბუსები<br>3. გამოცდების ორგანიზება და სტუდენტთა შეფასების პროცედურა;<br>4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი;<br>5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი;<br>6. დასაქმების ბაზრისა და დამსაქმებლების სტატისტიკური ანალიზი;<br>7. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;<br>8. სტუდენტთა შეფასების ანალიზი<br>9. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საუდიტორიო აქტივობის მონიტორინგის ანალიზი.<br>10. საზღვაო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი საგანმანათლებლო პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის დანიშვნის თაობაზე:ოქმი N 14, 15.10.2018 წ.<br>11. საზღვაო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის დანიშვნის თაობაზე:ოქმი N 6/9, 03.04.2019 წ.<br>12. კურიკულუმის კომიტეტის დამტკიცება |
| **რეკომენდაციები:** არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** ბევრი დამსაქმებელი/გემთმფლობელი თანამშრომლობს ბსსა-სთან. ისინი ატარებენ ინტერვიუებს და ასაქმებენ იმ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს, რომლებიც წარმატებით გადიან გასაუბრებას. ბსსა იწვევს სფეროს წარმომადგენელს პროგრამის შემუშავების პროცესში, თუმცა დამსაქმებლების/გადაზიდვის კომპანიების წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდა შექმნის უფრო მკაფიო სურათს დარგის მოთხოვნებზე და დადებითად იმოქმედებს სწავლის შედეგებზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში:** არ არის |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ შეესაბამება მოთხოვნებს |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთ | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1.პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უმაღლესი განათლების დაწესებულებას გააჩნია პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა ჩართულობას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.<br>პროგრამაში დაშვების წინაპირობები არ არის გათვალისწინებული, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელიც ამ უფლებას იძენს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და აქვს რთული საზღვაო პროფესიისათვის სათანადო ჯანმრთელობა, რაც დამოწმებულია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის საშუალებით, საბაკალავრო პროგრამის „გემის ელექტრო ინჟინერიის" თავსებადობის დადგენით, სტუდენტის მიერ მიღებული და აღიარებული შესაბამისი კრედიტებით. ინფორმაცია დაშვების წინაპირობის შესახებ საჯაროა და განთავსებულია აკადემიის ვებ-საიტზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>○ საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია";<br>○ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.<br>○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების გუნდთან;<br>○ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები. |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი**<br>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით.<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია.პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.მისანიჭებელი კვალიფიკაცია |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა შედგენილია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების“ წესის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია დარგის (საზღვაო ნავიგაცია) მახასიათებლის მოთხოვნებთან. ეს გულისხმობს ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის პრინციპებს, ეტაპებსა და კომპონენტებს.
- მიღებული სწავლების სტანდარტები ვრცელდება პროგრამის კომპონენტებზე, როგორიცაა მაგალითად, ლექცია - სადაც მიეწოდებათ სასწავლო მასალები, ჯგუფური მუშაობა - რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს :კითხვა-პასუხს, დისკუსია / დებატებს; გუნდურ მუშაობას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს, მედებაზე ორიენტირებულ და ფოკუსირებულ სწავლას და პრეზენტაციის მომზადებას. ასევე გამოყენებულია სამეცნიერო სტატიების და საკონფერენციო თემების მომზადება და განხილვა, რეფერატების მომზადება, დისკუსიები საერთაშორისო საზღვაო სფეროში არსებულ საკითხებზე, პროგრამასთან დაკავშირებული სტატიების და ვიდეო მასალების დამოუკიდებელად მოძიებას და დამუშავებას კომპიუტერული საშუალებებით.
- საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია დასაქმების ბაზრის მდგომარეობის გათვალისწინებით. კურიკულუმი ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რამაც განაპირობა საბაკალავრო პროგრამის შემუშავება. პროგრამის შენაარსი და სტრუქტურა შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- კერძოდ: ბათუმის გეოგრაფიული და ეკონომიკური ფუნქცია, რომელიც ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვაო სატრანსპორტო კვანძია და საჭიროებს მაღალკვალიფიციურ პერსონალს შესაბამისი კომპონენტებით.

- პროგრამა სწორად განსაზღვრავს თანმიმდევრობის პრინციპს - გადასვლას მარტივიდან რთულზე, ძირითადიდან ზოგად კურსებზე და ზოგადიდან პროფილურ კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. პროგრამის კომპონენტები ორგანიზებულია სემესტრების შესაბამისად თანმიმდევრული, ლოგიკური წინაპირობით, ხოლო მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების დონეს, შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
- პროგრამის თანახმად, პირველი და მე-2 სემესტრი ძირითადად გამოყოფილია სტუდენტების მოსამზადებლად ზუსტ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. მე-3-მე-4 სემესტრში საჭირო კურსები ისწავლება დარგის სტანდარტის (საზღვაო ნავიგაცია, ასტრო-ნავიგაცია, გემის სტრუქტურები, მდგრადობა და ა.შ.) მიხედვით. მე–5 სემესტრი მთლიანად ეძღვნება სანაოსნო პრაქტიკას და სასწავლო წიგნში ჩანაწერების მომზადებას, რაც გათვალისწინებულია STCW კონვენციით. მე –6 და მე –7 სემესტრებში სტუდენტები ეუფლებიან დარგის სტანდარტით გათვალისწინებული სპეციალიზაციის სასწავლო კომპონენტებს, რაც აუცილებელია გემის ნავიგატორის მართვის დონის კომპეტენციის შესაძენად.

| |
|---|
| - თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა 20 კვირა, აქედან 15 კვირა ეძღვნება ლექციების ჩატარებას, სტუდენტთა ცოდნის შეფასებას 4 კვირა და 1 კვირა განმეორებით (Fx) გამოცდებს. გამონაკლისია V სემესტრი (სანაოსნო პრაქტიკის სწავლება), რომელიც გახანგრძლივდა და შეადგინა 180 დღე, ანუ 6 თვე. პრაქტიკის სემესტრის გახანგრძლივება განპირობებულია მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიკაციის კანონით, ხოლო STCW კონვენციაში მეზღვაურთა სერტიფიკაცია მომზადების პროცესშია, რათა დააკმაყოფილოს შესაბამისი სანაოსნო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობის მოთხოვნები სერტიფიცირებისას.<br>o პროგრამა უზრუნველყოფს არჩევითობას საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში. სწავლის პირველივე წლიდან სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა აირჩიონ საბაკალავრო ნაშრომის თემა თავისი შეხედულებისამებრ, ასევე, თავისუფალი და არჩევითი კურსები, რაც საშუალებას აძლევს მათ მაქსიმალურად დაიკმაყოფილონ საკუთარი სურვილები და მეტად დააზუსტონ ცოდნა შერჩეული პროფილის მიხედვით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების წესი;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>○ ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან;<br>○ ინტერვიუ აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების გუნდთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>სასურველია პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდების მორგება კონკრეტულ დისციპლინაზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| 2.3 კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან განსაზღვრავს პროგრამის შიდა და გარე შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მექანიზმის არსებითი ფუნქციაა თითოეული სილაბუსის შეფასება. შიდა შეფასება უზრუნველყოფილია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, კურიკულუმის კომიტეტის, პროგრამის განმახორციელებლების და ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ამასთან, გარე შეფასებას ატარებენ დაინტერესებული მხარეები (გამოკითხვების შედეგების და ერთობლივი მიზნობრივი სასწავლო კურსის შესაბამისობის შეფასება განათლების დონისადმი).<br>თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მკაფიოდ ასახავს სტუდენტთა საქმიანობის გეგმას, ფორმებს, მეთოდებს, კრიტერიუმებს, მათი შეფასების ფორმებს, მეთოდებს, კრიტერიუმებსა და კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრას.<br>სასწავლო კურსის განმახორციელებლები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო და კვლევით საქმიანობაში, აქვეყნებენ სათანადო ნაშრომებს და ამ მხრივ ანგარიშვალდებულები არიან ფაკულტეტისა და შესაბამისი სასწავლო-აკადემიური დეპარტამენტის წინაშე. გარდა ამისა, ისინი ვალდებულნი არიან ყოველწლიურად მიაწოდონ შესყიდვების სამსახურს საჭირო მონაცემები და მოთხოვნები სასწავლო მასალის შეძენასთან დაკავშირებით (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, პერიოდული გამოცემები და ა.შ.), რომლებშიც ასახულია მიმდინარე დარგის მიღწევები; ასევე, უზრუნველყონ სავალდებულო ლიტერატურის რეგულარული განახლება. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ აკადემიური კურსების სილაბუსები;<br>○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის მეთოდები და შინაარსი საზღვაო ასტრონომიაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამის ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა. პრაქტიკის გავლის საუკეთესო მეთოდია აკადემიის სასწავლო კურსი "კადეტი", ისევე, როგორც პრაქტიკა საოკეანო გემებზე. დასრულების შემდეგ, საკრუიზო კომპანიების დახმარებით გადიან სტაჟირებას სხვადასხვა კომპანიების გემებზე "Junior" - ის პოზიციაზე. ამისათვის, აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საზღვაო ორგანიზაციებთან. სტაჟირების მსვლელობისას სტუდენტები მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან საზღვაო აკადემიის პასუხისმგებელი პირების მხრიდან. პრაქტიკის შედეგებს აფასებს უსდ-ის ფაკულტეტის შეფასების კომიტეტი.<br>საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს თეორიული და პრაქტიკული სწავლის შედეგებს შორის თანხვედრას, ასახულია საზღვაო აკადემიის მიერ შემუშავებულ "მეზღვაურთა სასწავლო ჩანაწერების წიგნში" (გემბანისა და სამანქანე განყოფილების ასისტენტებისთვის), რომელიც ადაპტირებულია აკადემიის დარგის სპეციალისტების მიერ და დაფუძნებულია ISF (საერთაშორისო გადაზიდვების ფედერაციის) "სასწავლო ჩანაწერების წიგნზე", რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო საზღვაო ფედერაციის მიერ. აღნიშნული წიგნი, ასევე, უნდა წარედგინოს მეზღვაურთა სერტიფიცირების ორგანოს - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს.<br>აკადემიის სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადებში, დასაქმების ფორუმებსა და კონკურსებში. სტუდენტები მონაწილეობენ სხვა სასწავლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ მემორანდუმები და ხელშეკრულებები;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.<br>○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების გუნდთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო კურსების სილაბუსებში ნათლად არის გადმოცემული სწავლება – სწავლის მეთოდები კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლებიც ემყარება შიდა და გარე შეფასების ანალიზს. სასწავლო პროცესში გამოიყენება შემდეგი სწავლების ფორმები: ლექცია, სემინარი / მუშაობა ჯგუფში და პრაქტიკული მეცადინეობები, კონსულტაციები და პროფესიული პრაქტიკა. ლექციის პროცესში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: სიტყვიერი ანუ ზეპირი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; შემთხვევის შესწავლის მეთოდი; წიგნზე და ინფორმაციის სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი; დისკუსია-დებატების მეთოდი და ა.შ. პრაქტიკული გაკვეთილებისა და სემინარის / ჯგუფური მუშაობის დროს გამოიყენება შემდეგი სწავლების მეთოდები: დისკუსია-დებატები; შემთხვევის შესწავლა; ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. განმარტებითი მეთოდი, კითხვა-პასუხი; წერილობითი დავალება; პროექტის პრეზენტაცია; ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების შესრულება; სიტუაციური ანალიზი; გონებრივი იერიში; შემთხვევების შესწავლა. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>○ აკადემიური კურსების სილაბუსები;<br>○ სტუდენტებთან გასაუბრება;<br>○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საზღვაო აკადემიაში სწავლის შედეგების შეფასება ტარდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების თანახმად. შეფასება გამჭვირვალეა და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
სტუდენტთა შეფასება ხორციელდება მრავალჯერადი შეფასების გზით, ანუ შეფასების პროცესი მოიცავს მრავალ კომპონენტს, მიმდინარე, შუალედურ და საბოლოო შეფასებებს, რომელთა წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების 30/30/40%-ს. მიმდინარე შეფასებას ახორციელებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელიც ასახავს შეფასების თითოეული კომპონენტის შედეგებს ელექტრონულ ჟურნალში. სასწავლო კურსის შემუშავებაში ჩართული პირები, სასწავლო კურსის შემუშავების პროცესში ხელმძღვანელობენ სილაბუსის შეფასების ადეკვატური ფორმებით, კომპონენტებით, კრიტერიუმებით და მეთოდებით, რაც, თავის მხრივ, ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებას.
ამრიგად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხარისხის სამსახური, რომელიც აანალიზებს შეფასების შედეგებს და რეაგირებას ახდენს ხარვეზებზე. სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე, რეგულარულად განიხილება აკადემიური დეპარტამენტების და ფაკულტეტების სხდომებზე. აუცილებლობის შემთხვევაში, კი ხდება შესწორებების შეტანა. სტუდენტები შესაბამის ინფორმაციას იღებენ კონსულტაციების მეშვეობით; გარდა ამისა, ინფორმაცია განთავსებულია აკადემიის ვებ-საიტზე.
ცოდნის შეფასების ფორმები, კრიტერიუმები, მეთოდები და თითოეული აქტივობის ქულების გამოთვლის წესები დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია ელექტრონულ ბაზაში, იგი სპეციალურად ამ მიზნისთვისაა შექმნილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
შეფასების სისტემის თაობაზე სტუდენტთა ინფორმირება უზრუნველყოფილია აკადემიაში არსებული რეგულაციების ვებ-საიტზე განთავსებით. გარდა ამისა, სტუდენტი იღებს ინფორმაციას გარკვეული სასწავლო კურსების შეფასების თავისებურებების შესახებ ფაკულტეტის პროფესორების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.
მიღებული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს სწავლის მოსალოდნელი შედეგები, რაც მას შესაძლებლობას მისცემს იზრუნოს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე შედეგების გასაუმჯობესებლად.
სკოლის წესების შესაბამისად, თუ შეფასება ვერ მიიღო, სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს განმარტება, კონსულტაცია და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს კიდეც. შეფასების შედეგები მუდმივად ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ შინაგანაწესი;<br>○ სილაბუსი;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან;<br>○ გასაუბრება სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
